

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები
სს „RMG Copper“-ის სპილენძ-პოლიმეტალური კარიერის
ფუტი ქანების სანაყაროებიდან გამოყოფილი
დაბინძურებული წყლის გამწმენდი ნაგებობების
მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

9 აპრილი, 2020

წარმოგიდგინებ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე განხილვისათვის [გამოქვეყნებულ](#) სს „RMG Copper“-ის წყლის გამწმენდი ნაგებობების მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშზე.

წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას ყველა საკითხის შესახებ, რომელიც სავალდებულოა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“. ამასთანავე, სკოპინგის ანგარიშისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაცია არასათანადოდ არის წარმოდგენილი. კერძოდ:

1. ალტერნატივების ანალიზი

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ.

საქმიანობის განმახორციელებელი არ განიხილავს ალტერნატივებს რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დოკუმენტში საერთოდ არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის და ტექნოლოგიური ალტერნატივები. ქვეთავები მხოლოდ ფორმალურად არის წარმოდგენილი. აუცილებელია ადგილმდებარეობის და ტექნოლოგიის ალტერნატივები და შერჩეული ვარიანტების დასაბუთება სრულფასოვნად იყოს განხილული გზა ანგარიშში.

1.1. ტექნოლოგიური ალტერნატივა

სკოპინგის ანგარიშის 2.2 ქვეთავში, „გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ტექნოლოგიის ალტერნატიული ვარიანტები“, ვკითხულობთ „ყურადღება გამახვილდა ერთ-ერთი პრეტენდენტის წინადადებაზე, რომელიც გულისხმობდა წყლის გამწმენდის ინოვაციურ მეთოდს კერამიკული მემბრანიანი ფილტრების გამოყენებითა და უკუოსმოსის გარეშე. შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ინოვაციური მეთოდი გაცილებით ნაკლებ ენერგიას საჭიროებს, იგი უფრო მარტივი სამართავია და ნაკლებ ქიმიურ დანამატებს მოითხოვს. შესაბამისად გარემოზე მიყენებული ნეგატიური გავლენა გაცილებით ბევრად მცირეა პირველ ალტერნატივასთან შედარებით, ამიტომ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მეორე ვარიანტის განხორციელება.“ - გაუგებარია რომელი ალტერნატივა იყო პირველი, საერთოდ რამდენი ალტერნატიული ვარიანტი იქნა განხილული. რატომ მიენიჭა უპირატესობა არჩეულ ვარიანტს. მიუხედავად იმისა, რომ გაუგებარია კონკრეტულად რა ტექნოლოგიებს შორის გაკეთდა არჩევანი, ხაზგასმით აღნიშნულია შერჩეული ტექნოლოგიის სიიაფე, რაც ვერ იქნება გადამწყვეტი ფაქტორი არჩევანის გაკეთებისას.

1.2. ადგილმდებარეობის ალტერნატივა

ადგილმდებარეობის ალტერნატივა განხილული უნდა იყოს, 2.3 ქვეთავში, თუმცა, ქვეთავში ვკითხულობთ, რომ „მდებარეობის ალტერნატივებზე საუბარი დეტალურადაა განხილული თავში 3.4, წყლის ქიმიური განმენდის აუცილებლობის განსაზღვრა“, თუმცა ამ ქვეთავში მსგავსი სახის ინფორმაციას არ ვხვდებით.

3.5 ქვეთავში „გამწმენდი ნაგებობების განთავსების მდებარეობა“ მოცემულია ორი წყლის გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია. თუმცა, ალტერნატივები არც ამ ქვეთავში არ არის განხილული. შესაბამისად, გაუგებარია რატომ იქნა ადგილმდებარეობის ეს ვარიანტები არჩეული, მოხდა თუ არა სხვა ვარიანტების განხილვა და რატომ მიენიჭა შერჩეულ ვარიანტებს უპირატესობა.

2. ხმაურის ზემოქმედება

8.2.2 ქვეთავში განხილულია ხმაურის ზეგავლენა, თუმცა, ის მხოლოდ თეორიულ მსჯელობას ეყრდნობა და არანაირი სახის მონაცემი თუ კვლევა არ არის წარმოდგენილი. ქვეთავის მიხედვით, **მშენებლობის პროცესში** ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორები იქნება ცხოველთა სამყარო და მუშა პერსონალი, „აგრეთვე გასათვალისწინებელია გამწმენდი ნაგებობების განთავსების ადგილებიდან უახლოესი დასახლებული პუნქტებზე ზემოქმედებაც“. სხვა ინფორმაცია მოცემული არ არის.

ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის ზემოქმედება შეფასებულია მხოლოდ N2 ნაგებობიდან დაშორებულ მოსახლეობაზე, რომლებიც საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 1,7 კმ - ით არიან დაშორებულები და ნათქვამია, რომ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. საერთოდ არ არის შეფასებული N1 ნაგებობიდან დაშორებულ მაცხოვრებლებზე ზემოქმედება, მაშინ როცა N1 ნაგებობიდან დაბა კაზრეთი მხოლოდ 0,15 კმ ით არის დაშორებული. შეჯამების სახით კი ვკითხულობთ, რომ ზემოქმედება მნიშვნელოვანი არ იქნება და დამატებითი შემარბილებელი ღონისძიების გატარებას არ საჭიროებს. შესაბამისად, შემარბილებელ ღონისძიებები მხოლოდ მუშა-მოსამსახურეებისათვის შემუშავებული წინადადებებით შემოიფარგლება.

3. როგორც ანგარიშიდან ირკვევა, დაგეგმილია N1 და N2 გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა სხვადასხვა ლოკაციაზე. N2 გამწმენდი ნაგებობიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფ. ბოლნისი დაშორებულია დაახლოებით 1,7 კმ-ით, ხოლო N1 ნაგებობიდან დაბა კაზრეთიდან დაშორებულია დაახლოებით 0,15კმ -ით. N1 ნაგებობის შემთხვევაში სიახლოვე საპროექტო ტერიტორიასა და დასახლებულ არეალს შორის მცირეა. თუმცა გაურკვევლად რჩება რამდენია დაშორება, უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან N1 ნაგებობის შემთხვევაში?

4. ჯანმრთელობაზე პირდაპირი ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები განხილულია მხოლოდ დასაქმებული პერსონალის მიმართ. არ არის განხილული პროექტის არაპირდაპირი ზემოქმედება. ასევე, არ არის შესწავლილი ადგილობრივ მოსახლეობაზე ზემოქმედება, რომელიც 0.15 კმ არის დაშორებული N1 ნაგებობიდან. მნიშვნელოვანია, საკითხი დეტალურად იქნას განხილული გზმ ანგარიშში.

5. სკოპინგის ანგარიშში ცალკე ქვეთავის სახით არის მოცემული „საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი“ - ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „გამწმენდი ნაგებობის განთავსებისთვის გამოყოფილ ტერიტორიებზე 2019 წლის ბოლოს შპს „ჯეოინჟინირინგმა“ ჩაატარა საპროექტო უბნების გეოტექნიკური კვლევა. კვლევის მიხედვით, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ტერიტორია მდგრადია და რაიმე მნიშვნელოვანი სახის საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების კვალი არ დაფიქსირებულა.“ „გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურებას არ გამოიწვევს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება არ იგეგმება.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ რომ საქმიანობის განმახორციელებელი გზმ ეტაპზე არ გეგმავს გეოლოგიური კვლევის ჩატარებას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას - რაც დაუშვებელია.

6. არაერთგვაროვანი ინფორმაცია წარმოდგენილი შლამის მართვასთან დაკავშირებით და მნიშვნელოვანია საკითხი უკვე ამ ეტაპზე იყოს დეტალურად დაგეგმილი. ზოგან წერია, რომ შლამის საბოლოო განთავსების ადგილად განსაზღვრულია სს „RMG Copper“-ის სპილენძ-პირიტის კუდსაცავი, ზოგან კი განთავსების ადგილად მითითებულია ფუჭი ქანების 1-ლი და მე-4 სანაყაროები. 8.2.9 ქვეთავში (ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი შემოქმედება) წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კი „საპროექტო გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე განიხილება N2-ის განთავსების ტერიტორიის (მე-4 სანაყაროს ძირი) მიმდებარედ შლამის სალექარი ლაგუნების მოწყობაც“ და საკითხი, თურმე, გზმ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში დაზუსტდება.

7. საერთოდ არ არის განხილული ვიზუალური ეფექტისა და ლანდშაფტის ცვლილების ზეგავლენა მოსახლეობაზე N1 გამზმენდი ნაგებობის შემთხვევაში, მიზეზად კი დასახელებულია, რომ ტერიტორია უკვე განიცდის მნიშვნელოვან ტექნოგენურ დატვირთვას, რადგან ტერიტორიაზე უკვე ფუნქციონირებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები. აღნიშნულიდან გამომდინარე ადგილობრივ მოსახლეობაზე ნეგატიურ ვიზუალურ ეფექტს ადგილი არ ექნებაო - ასეთი დასკვნების გაკეთება ყოველად გაუმართლებელია.

8. არ არის მოცემული ინფორმაცია აბიოტურ ფაქტორებზე, როგორცაა ჰიდროლოგია და ბუნებრივი კატასტროფების რისკები.

9. სკოპინგის ანგარიშში ინფორმაცია ჩასატარებელი საბაზისო კვლევებისა და გზმ-ს ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ განხილულია, თუმცა ის ზოგადი სახისაა. არ არის დასახელებული გარემოს თითოეული კომპონენტის შესწავლის მეთოდები. გარემოს თითოეული კომპონენტის შესწავლის პერიოდი (წლის რომელ სემონში, რომელ თვეებში მოხდება შესწავლა, რამდენი ხანი გაგრძელდება შესწავლა) და მასშტაბი.

10. საჯარო განხილვა

24 მარტს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ მიღებულია გადაწყვეტილება სკოპინგისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშების საჯარო განხილვების გადადებაზე, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გაუქმებამდე - რაც სრულიად ლოგიკური და სათანადო გადაწყვეტილება იყო არსებულ სიტუაციაში. თუმცა, რამდენიმე დღეში სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#), რომლის თანახმად „საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-5 მუხლის შესაბამისად, იკრძალება საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 10 პირზე მეტი რაოდენობით“. ამასთანავე, განცხადების თანახმად, „საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, არ ჩერდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. შესაბამისად, საჭიროა შეუფერხებლად გაგრძელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საფუძველზე სამინისტროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები“. განაცხადების თანახმად, ამ გარემოებების გათვალისწინებით, „RMG Copper“-ის სპილენძ-პოლიმეტალური კარიერის ფუჭი ქანების სანაყაროებიდან გამოყოფილი დაბინძურებული წყლის გამზმენდი ნაგებობების მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის განცხადებაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდება საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღება საჯარო განხილვის გარეშე მნიშვნელოვნად აზარალებს პროცესს, ვინაიდან ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება სწორედ საჯარო განხილვაა. ვიმედოვნებთ, სადავო არ არის ის გარემოება, რომ სამინისტროს ვებ-გვერდის უკიდურესად არახილვად და ძნელად მისაგნებ განყოფილებაში განცხადების გამოქვეყნებით არ ხდება დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება. ამდენად, საჯარო განხილვის გაუქმებით სამინისტრო ზღუდავს არა მარტო გადაწყვეტილების მიღების

პროცესში მონაწილეობაზე მოქალაქეების უფლებას, არამედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უფლებასაც.

ამასთან გაუგებარია, რა კავშირი აქვს განსახილველ პროექტს ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებლად განხორციელების თაობაზე მთავრობის გადანწყვეტილებასთან და რაში მდგომარეობს ის გადაუდებელი აუცილებლობა, რომლის გათვალისწინებით გადანწყვეტილება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის მოთხოვნების უგულებელყოფით უნდა იქნას მიღებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად უსარგებლოა სამინისტროს ამავე განცხადებასთან ერთად, თითქოსდა, საჯარო განხილვების გაუქმების საკომპენსაციოდ გამოქვეყნებული პრეზენტაცია. გაუგებარია, რაში მდგომარეობს დოკუმენტის დანიშნულება და დამატებითი ღირებულება.